

საქართველოს გარემოს დაცვის
სამინისტრო



MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION
OF GEORGIA

Legal Entity under Public Law

AGENCY OF PROTECTED AREAS

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

დაცული ტერიტორიების სააგენტო

ბ. გულუას ქ. №6 0114 თბილისი, საქართველო, ტელ: 275 23 53 ფაქსი: (+995 32) 275 23 53; ელ ფოსტა: info@dpa.gov.ge
6 Gulua str, Tbilisi, Georgia, (+99532) 275 23 53, Fax: (+99532) 275 23 53 E-mail: info@dpa.gov.ge

„20“ „03“ 2012 წ.

№ 11-07/271

თქვენი 20 წ. „—“ „—“

№ ————— წერილის პასუხად

ს.ს.ი.პ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტო“-ს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ 2012 წლის 1
მარტს, დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის
დაგეგმვა/მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო
განცხადება №345), დადგენილ ვადებში წინადადება არცერთმა კონკურსანტმა არ
წარმოადგინა.

არნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, კონკურსს მიანიჭოთ სტატუსი –
კონკურსი არ შედგა.

დანართი: საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

პატივისცემით,

გიორგი შონვაძე

სააგენტოს თავმჯდომარე

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა/მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი

19 მარტი 2012წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი შონვაძე – სააგენტოს თავმჯდომარე

კომისიის წევრი: ლაშა მოისწრაფიშვილი – სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

კომისიის წევრი: თომა დეკანოიძე – განვითარების სამსახურის უფროსი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ვახტანგ ტუკვაძე – ეკონომიკური სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა/მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, 2012 წლის 1 მარტს გამოცხადებული კონკურსის (საკონკურსო განცხადება №345) შედეგები:


მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ვახტანგ ტუკვაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2012 წლის 1 მარტს გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №345), დადგენილ ვადებში, საკონკურსო წინადადება არც ერთმა კონკურსანტმა არ წარმოადგინა.


დაადგინეს:

1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ 2012 წლის 1 მარტს გამოცხადებულ კონკურსს (საკონკურსო განცხადება №345) მიენიჭოს სტატუსი – კონკურსი არ შედგა
2. კომისიის აპარატმა, დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოს კომისიის სხდომის ოქმის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი შონვაძე



კომისიის წევრი: ლაშა მოისწრაფიშვილი



კომისიის წევრი: თომა დეკანოიძე

